საიდ. №74677/03

IR 1180255

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №06-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, ა. დალაქიშვილი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ეკოლაბ დოიჩლანდ გმბჰ” (ECOLAB Deutschland GmbH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №06-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 27 ოქტომბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №2752/03 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ECOLAB” (საიდ. №74677/03 IR 1180255) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-7, მე-8, მე-9, მე-11, 21-ე, 35-ე, 37-ე, 41-ე და 42-ე კლასების ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული

სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 27 ოქტომბრის №2752/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი "ECOLAB" მსგავსია კომპანიის „Ecolab USA Inc.“ (მისამართი: 370 Wabasha Street North, Saint Paul, MN 55102; US), სახელზე პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 11-ე, 21-ე, 35-ე, 37-ე, 41-ე და 42-ე კლასების მსგავსი საქონლისათვის და მომსახურებისათვის დაცული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნისა „ECOLAB“ (IR 1005780, საერთაშორისო რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი 06.04.2009) და სტილიზებული ნიშნისა ,,ECOLAB'' (IR 1008102; საერთაშორისო რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი 06.04.2009). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნები წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. დაპირისპირებულ და სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს შორის არსებობს, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური მსგავსება. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, ვინაიდან სამივე მათგანი შედგება 6 – 6 ლათინური შრიფტით შესრულებული ასოსგან და მათ შორის არცერთი ასო არ განსხვავდება. დაპირისპირებული ნიშნები ასევე მსგავსია ფონეტიკურად, ვინაიდან რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები გამოითქმის, როგორც ,,ეკოლაბ'', ხოლო სარეგისტრაციოდ განცხადებული ნიშანი, ასევე ,,ეკოლაბ''. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი დაპირისპირებული ნიშანი სტილიზებულია იგი არ ანიჭებს მას სათანადო განმასხვავებლობას. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, კერძოდ პირველ, მე-3, მე-4, მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 11-ე, 21-ე, 35-ე, 37-ე, 41-ე და 42-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ნაწილში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ეკოლაბ დოიჩლანდ გმბჰ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ აფილირებულ კომპანიებს და მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე სამრეწველო ჯგუფს. აპელანტის პოზიციით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელმა კომპანიამ გასცა თანხმობის წერილი, სადაც იგი გამოხატავს თანხმობას განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში აპელანტი კომპანიის სახელზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 27 ოქტომბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" №2752/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ECOLAB" (საიდ. №74677/03 IR 1180255) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-7, მე-8, მე-9, მე-11, 21-ე, 35-ე, 37-ე, 41-ე და 42-ე კლასების ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო

ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების ოფიციალურ რეესტრში დაფიქსირებული ცვლილების თანახმად, აპელანტმა კომპანიამ „ეკოლაბ დოიჩლანდ გმბჰ" (ECOLAB Deutschland GmbH) განცხადებულ ნიშნის განაცხადზე უფლებები გადასცა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელ კომპანიას „ეკოლაბ იუ ეს ეი ინკ" (Ecolab USA Inc.). აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის ერთი და იმავე კომპანიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ECOLAB" (საიდ. №74677/03 IR 1180255) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ეკოლაბ დოიჩლანდ გმბჰ" (ECOLAB Deutschland GmbH) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და

გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 27 ოქტომბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №1143/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ECOLAB” (საიდ. №74677/03 IR 1180255) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-7, მე-8, მე-9, მე-11, 21-ე, 35-ე, 37-ე, 41-ე და 42-ე კლასების საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ECOLAB” (საიდ. №74677/03 IR 1180255) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ი. გიქორაშვილი

ა. დალაქიშვილი